

IV თავი

სტუდენტის სწავლის საფასურთან დაკავშირებული შეღავათები ბსუ-ში

(განახლებული რედაქცია - მაისი, 2022 წ.)

ბსუ-ში სწავლის საფასურთან დაკავშირებული შეღავათების მინიჭებასთან დაკავშირებული რეგულაცია განსაზღვრულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესით“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3) და „ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესით“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 8).

ბსუ-ში სწავლის საფასურში შეღავათი ენიჭება სრული ოდენობით (100 %-ით, მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობის ფარგლებში):

ა) ბსუ-ს საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტს, რომელიც არის მშობლების მზრუნველობას მოკლებული (დედ-მამით ობოლი ან უფო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი);

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სტუდენტისათვის სწავლის საფასურში ზემოაღნიშნული შეღავათის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა სტუდენტის განცხადებისა და მის მიერ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) მშობლების მზრუნველობას მოკლებული პირის შემთხვევაში (დედ-მამით ობოლი ან უფო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი ან პირი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება) - სტუდენტის დაბადების მოწმობის, მშობლების გარდაცვალების მოწმობების ან უფო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში - შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა.

სწავლის საფასურში შეღავათი ბსუ-ს სტუდენტს ენიჭება:

ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1

აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

ბ) **მომდევნო სემესტრიდან** - თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი შეღავათის მინიჭების საფუძველი წარმოიშვა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების) სტუდენტებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით **ენიჭებათ** შეღავათი (თავისუფლდებიან) **ბსუ-ში სწავლის სემესტრული საფასურის 30 %-ის ოდენობით**, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა). მომდევნო სემესტრებში სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა ყოველ სემესტრში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განახლებული ინფორმაციის (ცნობა დასაქმების ადგილიდან) საფუძველზე.

ბსუ-ს სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები შეიძლება მიენიჭოთ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 8**), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხვა გადაწყვეტილების ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

„ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის“ (შეღავათების კატეგორიები, მინიჭების პირობები, კონკურსის გამოცხადების/ჩატარების რეგულაციას) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

გარდაცვალების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეწყვეტილი პირის სახელზე არსებული სწავლის საფასურის დავალიანება (გარდაცვალების დროისათვის არსებული) მოიხსნება/ჩამოიწერება, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში სასწავლო/სამეცნიერო კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე მონაწილეობა შესაძლებელია დაფინანსდეს არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, ბსუ-ს პროგრამული ბიუჯეტის (შესაბამისი ქვეპროგრამის) ფარგლებში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.